

## **შპს „იმერ - გლას კომპანი“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

## სარჩევი

|                                                                                  |    |
|----------------------------------------------------------------------------------|----|
| სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 2  |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                 | 4  |
| სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....          | 6  |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                  | 7  |
| 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                                                 | 7  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                                    | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....                             | 8  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....                        | 11 |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                                                 | 11 |
| 6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება .....                                    | 12 |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                       | 12 |
| 8. ძირითადი საშუალებები .....                                                    | 13 |
| 9. მარაგები .....                                                                | 14 |
| 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                             | 14 |
| 11. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                            | 14 |
| 12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები .....                             | 14 |

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

|                                                                     | 2020 (არა<br>აუდიტირებული) |
|---------------------------------------------------------------------|----------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან<br>რეალიზებული პროდუქტის<br>თვითღირებულება | 6754366<br><br>(4652526)   |
| <b>საერთო მოგება</b>                                                | <b>2101840</b>             |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                   | (940055)                   |
| <b>საოპერაციო ზარალი/მოგება</b>                                     | <b>1161785</b>             |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                                       | 1548                       |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                            | (-)                        |
| საპროცენტო შემოსავალი                                               | 1127                       |
| საპროცენტო ხარჯი                                                    | (126577)                   |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან                              | 2165                       |
| <b>მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე</b>                     | <b>(1040048)</b>           |
| მოგების გადასახადი                                                  | (156007)                   |
| <b>წლის სრული მოგება</b>                                            | <b>884041</b>              |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით

კახაბერ იდამე

*შპს „იმერ - გლას კომპანი“*

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

---

|                                               | 1 იანვარი 2020 (არა<br>აუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2020 (არა<br>აუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |                                      |                                         |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |                                      |                                         |
| ძირითადი საშუალებები                          | 1873920                              | 1669112                                 |
| არამატერიალური აქტივები                       | 1060                                 | 1360                                    |
| გაცემული სესხები                              |                                      |                                         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>1874980</b>                       | <b>1669112</b>                          |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |                                      |                                         |
| მარაგები                                      | 4536390                              | 3481055                                 |
| მისაღები პროცენტები                           | -                                    | -                                       |
| საგადასახადო აქტივი                           | -                                    | -                                       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 1278900                              | 854675                                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 92096                                | 91565                                   |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>5907386</b>                       | <b>4427295</b>                          |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>7782366</b>                       | <b>6096407</b>                          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                                      |                                         |
| საწესდებო კაპიტალი                            | 705770                               | 255770                                  |
| სარეზერვო კაპიტალი                            | -                                    | -                                       |
| ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი         | -                                    | -                                       |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 3759331                              | 3525290                                 |
|                                               | -                                    | -                                       |
| პარტნიორთა კაპიტალი                           | -                                    | -                                       |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           | <b>4465101</b>                       | <b>3781060</b>                          |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             | <b>2236955</b>                       | <b>1976766</b>                          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         | <b>2236955</b>                       | <b>1976766</b>                          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |                                      |                                         |
| სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული<br>ავანსები | 12                                   |                                         |
|                                               | 801597                               | 280043                                  |

შპს „იმერ - გლას კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

|                                               |                |                |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| მოკლევადიანი სესხი                            | -              | -              |
| საგადასახადო ვალდებულება                      | 404268         | 324274         |
| გადასახდელი ხელფასები                         | -              | 260            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            | <b>1205865</b> | <b>604577</b>  |
|                                               |                |                |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> | <b>7907921</b> | <b>6362403</b> |

შპს „იმერ - გლას კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

| (არა აუდიტირებული)           | საწესდებო<br>კაპიტალი |   | გაუნაწილებელი<br>რეზერვები<br>მოგება | ჯამი    |
|------------------------------|-----------------------|---|--------------------------------------|---------|
| ბალანსი 1 იანვარი 2020       | 255770                | - | 3525290                              | 3781060 |
| პერიოდის სრული მოგება        |                       | - | 884041                               | -       |
| პარტნიორთა კაპიტალის<br>ზრდა | 450000                |   |                                      | -       |
| მოგების განაწილება           |                       |   | 650000                               |         |
| ბალანსი 31<br>დეკემბერი 2020 | 705770                |   | 3759331                              | 4465101 |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

იმერ - გლას კომპანი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს „იმერ - გლას კომპანი“ დაფუძნდა 2011 წლის 11 მარტს, 2012 წლის 9 ნოემბერს მოხდა შერწყმა შპს „იმერშენ 2012+“-ის ს/კ 412685090.

**ძირითადი საქმიანობა:** შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით (ფურცლოვანი მინა, ბუნებრივი ქვები, თუნუქის პროფილები, ალუმინის და მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრებისათვის საჭირო მასალები და აქსესუარები, ასევე ვაწარმოებთ ალუმინისა და მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრებს. ).

კომპანიაში დასაქმებულია 51 (ორმოცდათერთმეტი) თანამშრომელი.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი:** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქ., N 20, ბ. 67. საქმიანობის ადგილი, საქართველო, ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ., №4-ის სამხრეთით.

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100% -იანი წილის მფლობელია კახაბერ იდამე, 60001031387

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება:** აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

**მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება:** წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

## **2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)**

მის ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მის ფასს-ზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მის ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**უცხოური ვალუტა:** ლარი არის შპს „იმერ-გლას კომპანის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

**ძირითადი საშუალებები.**

- **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ან გარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა:** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                                     | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|-------------------------------------------|------------------------------|
| ნაგებობები                                | ---                          |
| კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი | 3-10                         |
| მანქანა-დანადგარები                       | 5-15                         |
| შენობები                                  | 25-35                        |

### არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება:** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია:** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არა მატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

**მარაგები:** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები:** სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები:** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**სესხები:** სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**გადასახადები:** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ

იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადების გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები:** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი:** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლისმიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი:** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება:** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**სხვაშემოსავალი:** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება:** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**კლასიფიკაცია მიმდინარე / გრძელვადიანის მიხედვით:** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იხსება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

#### **• მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება:** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნების მიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა:** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუ კი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

#### **• შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                         |                |
|-----------------------------------------|----------------|
| შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან          | 6003317        |
| შემოსავალი მომსახურებიდან               | 47435          |
| შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 702514         |
| სხვა შემოსავალი                         | 1100           |
| <b>ჯამი</b>                             | <b>6754366</b> |

- რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

|                                        |                  |
|----------------------------------------|------------------|
|                                        | <b>2020</b>      |
| რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება | (4652526)        |
| <b>ჯამი</b>                            | <b>(4652526)</b> |

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                    |                 |
|------------------------------------|-----------------|
|                                    | <b>2020</b>     |
| შრომის ანაზღაურება                 | (571660)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია               | (102293)        |
| იჯარა                              | (41010)         |
| კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები | (58215)         |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი   | (166877)        |
| <b>ჯამი</b>                        | <b>(940055)</b> |

- არასაოპერაციო ხარჯები

|                            |                 |
|----------------------------|-----------------|
|                            | <b>2020</b>     |
| საპროცენტო ხარჯი           | (126577)        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | -               |
| <b>ჯამი</b>                | <b>(126577)</b> |

შპს „იმერ - გლას კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

• ძირითადი საშუალებები

|                               | მიწის<br>ნაკვეთები | არამატ. აქტივი | შენობა<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა/ დაუმთ. მშ<br>ინვენტარი/<br>სატრანსპორტო<br>საშუალება | ჯამი     |
|-------------------------------|--------------------|----------------|----------------------|-------------------------|-----------------------------------------------------------------------------|----------|
| თვითღირებულება                | -                  | -              | -                    | -                       | -                                                                           | -        |
| 1 იანვარი 2020                | 452604             | 1360           | 680147               | 244073                  | 290928                                                                      | 1669112  |
| შემოსვლა წლის<br>განმავლობაში | (17700)            | -              | 125980               | 108723                  | 91613                                                                       | 308616   |
| 31 დეკემბერი 2020             | 434904             | 1060           | 702619               | 352796                  | 382541                                                                      | 1873920  |
| ცვეთა                         | ცვეთა              | -              | -                    | -                       | -                                                                           | -        |
| 1 იანვარი 2020                | -                  | (1940)         | (-)                  | (205705)                | (79945)                                                                     | (287590) |
| ცვეთა წლის განმავლობაში       | -                  | (300)          | (20528)              | (47307)                 | (34158)                                                                     | (102293) |
| 31 დეკემბერი 2020             | -                  | (2240)         | (20528)              | (253012)                | (114102)                                                                    | (389882) |
| ნეტო საბალანსო<br>ღირებულება  | -                  | -              | -                    | -                       | -                                                                           | -        |
| 1 იანვარი 2020                | 452604             | 1360           | 680147               | 244073                  | 290928                                                                      | 1669112  |
| 31 დეკემბერი 2020             | 434904             | 1060           | 702619               | 352796                  | 382541                                                                      | 1873920  |

- მარაგები

|                       | 31 დეკემბერი 2020 | 1 იანვარი 2020 |
|-----------------------|-------------------|----------------|
| საქონელი              | 4021854           |                |
| ნედლ. და მასალები     | 514536            | 3481055        |
| სხვა სას. მატ. მარაგი |                   |                |
| <b>ჯამი</b>           | <b>4536390</b>    | <b>3481055</b> |

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                   | 31 დეკემბერი 2020 | 1 იანვარი 2020 |
|-----------------------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                | 994               | 1940           |
| სხვა მოთხოვნები                   | ---               |                |
| გადახდილი ავანსები                | 919               | 53643          |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>1913</b>       | <b>55590</b>   |

- ფული და ფულის ექვივალენტები

|               | 31 დეკემბერი 2020 | 1 იანვარი 2020 |
|---------------|-------------------|----------------|
| ფული ბანკში   | 88373             | 79790          |
| ფული სალაროში | 3723              | 11775          |
| <b>ჯამი</b>   | <b>92096</b>      | <b>91565</b>   |

- სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები და გადასადხდელი ხელფასები

|                       | 31 დეკემბერი 2020 | 1 იანვარი 2020 |
|-----------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 1278900           | 854675         |
| მოკლევადიანი სესხები  | -                 | -              |
| <b>ჯამი</b>           | <b>1278900</b>    | <b>854675</b>  |

- გრძელვადიანი ვალდებულებები

|                            | 31 დეკემბერი 2020 | 1 იანვარი 2020 |
|----------------------------|-------------------|----------------|
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 2236955           | 795000         |
| <b>ჯამი</b>                | <b>2236955</b>    | <b>1976766</b> |

*შპს „იმერ - გლას კომპანი“*

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული